

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ

საკითხთა კომისიის 2018 წლის ანგარიში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია შედგება 8 წევრისაგან, რომელიც თანამშრომლობს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ სამსახურთან, მონაწილეობს სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის კომისიაში, დარგობრივ სფეროებში ანხორციელებს მონიტორინგს.

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა და საკრებულოს მიერ 2018 წლის 17 იანვარს დამტკიცდა სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი (დადგენილება N3), რომელიც ითვალისწინებს ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაცემას ცაგერის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ ბენეფიციარებზე; 2018 წლის განმავლობაში კომისიაში შემოსულია 1154 განცხადება, დახმარება გაეწია ათასამდე ბენეფიციარს, რაზედაც ბიუჯეტიდან გაიცა დაახლოებით 200 000 ლარი.

კომისია ანხორციელებს მუდმივ მონიტორინგს სოციალურად დაუცველი და უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის უმწეოთა სასაბუღალტრო ფუნქციონირებაზე (116 კაცი), რაზედაც მიმდინარე წელს დაიხარჯა 81332 ლარი.

კომისიის აქტიური ჩართულობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ინტელექტუალური პროექტი „რა, სად, როდის?“
- პროექტი „კარცერი ლუქსი“.
- დედაენის დღესთან დაკავშირებით კონკურსები კალიგრაფიაში და თემატურ ხატვაში, შემოქმედებით წერასა და ლექსის მხატვრულ კითხვაში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა დათვალიერება და კულტურის ცენტრში საზეიმო კონცერტი „გულს მისვენია ხატადა, ენა მთისა და ბარისა“.
- სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო:
- ინტელექტის დღის ორგანიზებაში, პროექტ „კარცერ-ლუქსის“ გამარჯვებული გუნდების ექსკურსიის ორგანიზებაში ფშავ-ხევსურეთში. მაქსიმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტის მომზადებაში. დედის დღესთან დაკავშირებით კაფე-სალამოს, 9-მაისის სადღესასწაულო ღონისძიების მომზადებაში.
- ბავშვთა დღესთან დაკავშირებით ანიმატორთა შოუ ქ. ცაგერის ცენტრში და სოფელ ორბელში.
- მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება „დამე მუზეუმში“.
- საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „არტ-გენი“.
- კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო საღამო.
- ფოლკლორულ ანსამბლ „დიდგორის“ კონცერტი.
- მაქსიმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

- მონაწილეობა მიიღო სახალხო დღესასწაულ „ფუძემზეობაში“ მონაწილეობის ორგანიზებაში.

ორგანიზება გაეწია სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მინი ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, გეზრბენის, ვაჟთა და გოგონათა გუნდების მონაწილეობას რეგიონალურ პირველობებში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალურ შეჯიბრებების ჩატარებას ქ. ცაგერში გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზში ფრენბურთში ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიძღვნილ ღონისძიებებს ქ. ცაგერში და ხვამლის მთაზე, ფრენბურთში საქართველოს ჩემპიონის ცაგერის გუნდის საზეიმო დახვედრის ღონისძიებას, მუნიციპალურ ტურნირებს მინი ფეხბურთში ქ. ცაგერსა და სოფელ ორბელში სადაც მონაწილეობა მიიღო 20-მდე გუნდმა, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის შეჯიბრებებს გეზრბენში, კალათბურთში, მინი ფეხბურთში, ფრენბურთში ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის, მუნიციპალურ პირველობას ცხენოსნობაში, ახალგაზრდობის შეხვედრას ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ სტეფანესთან.

- 9 - აპრილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებას.

- საჯარო ლექციას ახალგაზრდობასთან თემაზე „ლექხუმის კულტურული მემკვიდრეობა“.

- კომისია ჩართული იყო ახალგაზრდობის სხვადასხვა პროექტში ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების ხელმძღვანელთა შეხვედრაში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სოციალურად აქტიურ მოსწავლეებთან პროექტის „განავითარე შენი რეგიონი“ ფარგლებში, ახალგაზრდულ ფესტივალში „სპორტი ბარიერების გარეშე“ მუნიციპალური შეჯიბრებები ქუჩის ფეხბურთში, კალათბურთში, სპრინტში და ჭადრაკში.

- ანხორციელებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოსული ტურისტების ვიზუალური აღრიცხვას და მათი მოძრაობის ანალიზს.

- ლექხუმის ტურისტული ცნობადობის ამაღლების კუთხით სისტემატიურად ახდენდა ღირშესანიშნაობების შესახებ ფოტო და ვიდეო მასალების განთავსება ინტერნეტ სივრცეში.

- აქტიურად მუშაობდა ტურისტულ გზამკვლევზე, არის მონაწილე 9 - ტურისტულ მარშრუტზე, რომელიც დაიბეჭდება, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, მუნიციპალიტეტში აღრიცხულია კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე 44 -ძეგლი, ხორციელდება ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობების სააგენტოდან შესაბამისი დოკუმენტაციის გადმოცემასთან დაკავშირებით.

- მზადდება წინადადებები ქ. ცაგერის ცენტრში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მომავალი ფუნქციონირებისათვის ტურიზმის ეროვნულ სააგენტოს წინაშე მატერიალურ-ტექნიკური ბაზების უზრუნველყოფის, თანამშრომელთა გადამზადების, უნიფორმის მიწოდების, ბეჭდვითი-სარეკლამო მასალის მომარაგების და მომავალში მისი მართვის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სავარაუდოდ მომავალი წლის ზაფხულის სეზონისთვის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი იქნება სრულ მზადყოფნაში შეასრულოს თავისი ფუნქცია.

- კომისიის მიერ კომპეტენციის ფარგლებში სისტემატიურად ხორციელდება ჯანდაცვის, სკოლამდელი აღზრდის, კულტურული, სპორტული, ტურიზმის და ახალგაზრდობის დაწესებულებების საქმიანობის მორიტორინგი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე მიმდინარე პერიოდში მერიის სამსახურისა და კომისიის ეგიდით მომზადებული იქნა ინფორმაციები საგანმანათლებლო, სპორტის და ტურიზმის საკითხებზე, რზედაც მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა შესაბამისი განკარგულებები, კომისიის მიერ საკრებულოს სხდომაზე განხილული და დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის გენდერული საკითხების სამოქმედო გეგმა.

- კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებში, რომლებიც იმართება როგორც სახელმწიფო დაწესებულებების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს ხდომებზე გეგმიური საკითხების განხილვაში.

მომავალ საქმიანობაში ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას სფეროების მიხედვით პროგრამებში დასახული აქვს ამოცანები არსებული გამოწვევების შესაბამისად.